# საგარეჯოს მაცნე



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №6(236) 2021 წ. 16-31 მარტი ფასი 1 ლარი

## ჩვენს მუნიციპალიტეტში

## მიულოცეს „ნოვრუზ-ბაირამი“

**ნოვრუზ** ბაირამის დღესასწაულთან დაკავშირებით ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი*** - **გიორგი ერბოწონაშვილი** და მისი მოადგილეები - **ალექსი ბილაშვილი და გიორგი ლალიაშვილი,** ჯანდაცვისა და ***სოციალური სამსახურის ხელმძღვანელ*** - **სოფო შაქარაშვილთან** ერთად, აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებს ესტუმრნენ, ადგილობრივებს დღესასწაული მიულოცეს და სოციალურად დაუცველ ასამდე ოჯახს სასურსათო ამანათი გადასცეს.

მუსლიმები 20 მარტიდან 24 მარტის ჩათვლით, ნოვრუზის დღესასწაულს ზეიმობენ. იგი გაზაფხულის შემოსვლის, ბუნების გაღვიძების, სიცოცხლის განახლების წინასწარ მაცნეა.

2009 წლის 28 სექტემბერს იუნესკოს სამიტზე ნოვრუზი ოფიციალურად იქნა შეტანილი კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში, ხოლო 2010 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ნოვრუზი საერთაშორისო დღედ გამოაცხადა.



## საკოორდინაციო საბჭოში

## რეგულაციები შემსუბუქდა

### ეპიდემიოლოგიური ვითარების ანალიზის საფუძველზე, საკოორდინაციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დამატებითი შეზღუდვების შემსუბუქებასთან დაკავშირებით



***საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომა გაიმართა. საბჭომ განიხილა ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა, ასევე ვაქცინაციის პროცესის მიმდინარეობა და ვაქცინების დამატებითი დოზების შემოსვლასთან დაკავშირებული საკითხები.***

პირველი აპრილიდან რეგულაციების დაცვით მუშაობის განახლების საშუალება მიეცემათ საბავშვო გასართობ ცენტრებსა და კინოთეატრებს.

19 მარტიდან, დასაშვები იქნება ცოცხალი მუსიკა რესტორნებში.

28 მარტს დაგეგმილია საქართველო-ესპანეთის ნაკრების საფეხბურთო მატჩი. საკოორდინაციო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, დაუშვას მატჩზე მაყურებლის დასწრება დისტანციისა და ყველა შესაბამისი ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების სტანდარტის დაცვით. სტადიონზე დაშვებული იქნება მაყურებელთა 30%.

ასევე, იმართება ძიუდოში გრანდსლემი, რომელზეც ასევე დაიშვება მაყურებელთა 30%.

ამ ეტაპზე კვლავ ძალაში რჩება ღამით გადაადგილების შეზღუდვა, რადგან ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ბერკეტი მობილობის შესამცირებლად. საბჭო აკვირდება ვითარებას და შემდგომ გადაწყვეტილებებს მიიღებს არსებული ეპიდემიოლოგიური სურათის ანალიზის საფუძველზე.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტი პარლამენტის თავმჯდომარის არჩილ თალაკვაძის ხელმძღვანელობით და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

## პროექტი — აქტუალური და ყველასათვის ხელმისაწვდომი

## გაიმართა სამუშაო შეხვედრა



**საჯარო** რეესტრის ეროვნული სააგენტო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 10 ადმინისტრაციულ ერთეულში მიწის სისტემური რეგისტრაციის პროექტს ახორციელებს. პროგრამის ფარგლებში ქალაქ საგარეჯოში, ნინოწმინდაში, წყაროსთავში, გიორგიწმინდაში, დუზაგრამაში, იორმუღანლოში, ლამბალოში, თულარში, ყანდაურასა და შიბლიანში ეტაპობრივად აიზომება და დარეგისტრირდება როგორც მოქალაქეების კერძო საკუთრებაში, ასევე, მუნიციპალურ და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები.

სისტემური რეგისტრაციის პროექტის მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელშიც საჯარო რეესტრის თავმჯდომარემ **ნათია ჩირიკაშვილმა** და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა **გიორგი ერბოწონაშვილმა** მიმდინარე საკადასტრო საველე სამუშაოების განიხილეს, განხორციელებული აქტივობები შეაჯამეს და სამომავლო ამოცანებზე იმსჯელეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სისტემური რეგისტრაციის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის მნიშვნელობას.

„იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, 2016 წლიდან ქვეყანაში მიწის რეგისტრაციის მასშტაბური რეფორმას ვახორციელებთ. 2020 წლის საკანონმდებლო ცვლილებებმა კი სარეგისტრაციო პროცედურები კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახადა. დღეს უკვე, რეფორმის ფარგლებში, როგორც სისტემური, ისე სპორადული რეგისტრაციის წესით, ჯამში, მილიონზე მეტი მიწის ნაკვეთი გვაქვს დარეგისტრირებული. ბოლო წლის მანძილზე, მიუხედავად პანდემიით გამოწვეული სირთულეებისა, ქვეყნის ფართობის საკადასტრო მონაცემებით დაფარვა 43%–დან 67%–მდე არის გაზრდილი. ამიტომ დღეს გვინდა მოვუწოდოთ ჩვენს მოქალაქეებს, ისარგებლონ სისტემური რეგისტრაციის პროექტით და მარტივად დაირეგისტრირონ მფლობელობაში არსებული ნაკვეთები; გახდნენ კანონიერი მესაკუთრეები, რათა შემდგომ უკვე, შეძლონ რეგისტრირებული საკუთრების ეფექტურად განკარგვა და ეკონომიკური სარგებლის მიღება“, – აღნიშნა საჯარო რეესტრის თავმჯდომარემ ნათია ჩირიკაშვილმა.

მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციის პროექტს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ყველა იმ გეოგრაფიულ არეალზე ახორციელებს, სადაც მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული “ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების” პროექტის ფარგლებში, სარწყავი არხების მშენებლობა და რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტი ითვალისწინებს კახეთის, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის 5 მუნიციპალიტეტის 28 ადმინისტრაციულ ერთეულში მიწის ნაკვეთების სისტემური წესით დარეგისტრირებას.

მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისთვის საჭირო ყველა პროცედურას: საკადასტრო აგეგმვა აზომვითი ნახაზების მომზადებას, საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოძიება-ანალიზსა და ნაკვეთების დარეგისტრირებას – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო საკუთარი ინიციატივით და უფასოდ ახორციელებს.

*ქეთი ბრატიაშვილი,*

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი***

# მუნიციპალური გვერდი

## „ინფრასტრუქტურა-2021“

**რამდენიმე წლის პრობლემის მოგვარება უკვე შესაძლებელი გახდა**

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტში ნინოწმინდა-წყაროსთავის დამაკავშირებელი გზის მოწყობის სამუშაოები დაიწყო, რომელიც ათეული წლების განმავლობაში შემაფერხებელი იყო ქვეითად და ტრანსპორტით მოსიარულეთათვის.



**სოფელ** ხაშმში, სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მიმდებარე პერიმეტრზე, დაზიანებული საკომუნიკაციო მილების ამოცვლითი სამუშაოების განხორცილების შედეგად, ხაშმის მოსახლეობას წყალმომარაგება აღუდგა.

აღნიშნულ ადგილებში სასმელი წყლის დაზიანებული მილების ამოცვლას ართულებს არახელსაყრელი რელიეფური მდებარეობა, მაგრამ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლების რეგულირებისა და წყლის ხარისხის დაცვის“ ცენტრის თანამშრომელთა ძალისხმევით ხდება დაზიანებების მოწესრიგება.



## წესრიგში მოდის გზა

**სოფელ** ხაშმის შესასვლელი ცენტრალური გზის მოასფალტების სამუშაოები დაიწყო. გზისა, რომლის მოწესრიგებასაც სოფლის მცხოვრებლები ათეული წელია ითხოვენ.

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე ალექსი ბილაშვილმა*** მიმდინარე პროცესი ადგილზე მოინახულა, კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენელსა და რეგიონული საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის წევრებს გაესაუბრა და შესაბამისი რეკომენდაციები გასცა.

პროექტის ღირებულება 1 370 000 ლარს შეადგენს.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია- სს “ კავკასავტომაგისტრალი” ასრულებს.





## სოფლის მეურნეობა

## მუნიციპალიტეტში ვენახების კადასტრი იწყება

**ვენახების** კადასტრი მსოფლიოში კარგად აპრობირებული მეთოდია, რომელიც განვითარებული მეღვინეობა-მევენახეობის მქონე ყველა ქვეყანაშია დაფუძნებული. ვენახების კადასტრი იძლევა დეტალურ ინფორმაციას ვენახებისა და მეღვინეობის სუბიექტების შესახებ და ვენახების ფართობებისა და ყურძნის წარმოების გაკონტროლების შესაძლებლობას. რადგან საქართველო მევენახეობა-მეღვინეობის უძველესი სამშობლოა, საჭირო ხდება ვენახების კადასტრის შემოღება, რაც ხელს შეუწყობს მაღალი ხარისხის ყურძნისა და ღვინოების წარმოებას, ქართული ღვინის თანამედროვე სტანდარტების დონეზე ხარისხიანობის და მსოფლიო ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდას. კადასტრი, ასევე, ხელს შეუწყობს ადგილწარმოშობის (მიკროზონის) ყურძნისა და ღვინოების წარმოების კონტროლს, ქვეყანაში რთვლის გამჭვირვალე და გამარტივებულ პროცესში ჩატარებას, მევენახეთა სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებში ჩართულობის გაუმჯობესებას და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ ვენახების კადასტრის სამუშაოები საქართველოში უკვე დაწყებულია და არსებობს რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში, კახეთის მხარეში კი ოთხ – ყვარლის, თელავის, გურჯაანის და ახმეტის მუნიციპალიტეტებში. ახლა კი ჯერი ჩვენს მუნიციპალიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის დარგისთვისაც დადგა. ამ სამუსაოების უშუალო დაწყებამდე მნიშვნელოვნი სამუშაოები სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მუშაკებთან ერთად ჩაატარა საქართველოს სოფლის განვითარების სააგენტოს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურმა, რომლის მუშაკები ვენახების კადასტრის საკითხთან დაკავშირებით, თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში საინფორმაციო შეხვედრებს უტარებდნენ იმ სოფლის მოსახლეობასა და მევენახეებს, რომლებშიც ეს დარგებია განვითარებული, ესაუბრებოდნენ ამ და ვენახებში მიმდინარე სამუშაოების ხარისხიანად ჩატარების, ვენახების განოყიერების სქემის დაცვის, მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებების და ირიგაციის წესების გამოყენებაზე, განოყიერების დოზებისა და ჯერადობის დაცვაზე, ყურძნის კრეფისა და რთვლის დაწყების ვადებსა და ა.შ. ასევე, მევენახეებს დაურიგდათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული სამახსოვროები, საქპატენტში დარეგისტრირებული ყურძნის მოსავლის ზღვრული მონაცემების ცხრილები, ადგილწარმოშობის (მიკროზონის) ჯიშის ყურძნებისათვის.



აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თუ ყურძნის საჰექტარო მოსავლიანაობა გადააჭარბებს რეგლამენტით დადგენილ ნორმებს, ან ყურძენი იქნება დადგენილ მაჩვენებელზე (18%) ნაკლები შაქრიანობის, ასეთი მოსავლის ჩაბარება-რეაკლიზაცია ყურძნის მიმღებ ქარხანაში (სახელმწიფო კომპანია „აკურაში“) ვერ განხორციელდება. ასევე, ვენახის კადასტრიდან ამონაწერის გარეშე მევენახე ვერ შეძლებს ადგილწარმოშობის დასახელების, ე.წ. „მიკროზონის“ ჩაბარებას მიმდინარე წლის რთველში და ვერ ჩაერთვება სახელმწიფო დაფინანსების პროგრამაში (ვენახების დაზღვევა და ა.შ.) 2022 წლიდან. ამიტომ, აუცილებელია ყველა მევენახემ გაიაროს რეგისტრაცია და აიღოს შესაბამისი დოკუმენტი, რითაც გაიმარტივებს რთვლის ჩატარებისა და ყურძნის ჩაბარების აქამდე გართულებულ პროცედურას.

***დაწვრილებითი ცნობების მიღება მუნიციპალიტეტში ვენახების კადასტრის საკითხებთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ საქართველოს სსიპ სოფლის მეურნეიობის განვითარების სააგენტოს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრში – ქ. საგარეჯო დ. აღმაშენებლის ქ. №15.***

*გ. დაბახიშვილი*

## «ჰეი, ვინ მოდის, მანდ, მომავლიდან?!»

# ნარჩინებული, მიზანდასახული, წარმატებული, თავმდაბალი...

***ეს გოგონა – მარიამ ასრათაშვილი** ნინოწმინდის საჯარო სკოლის მოსწავლეა. ჯერ კიდევ საგარეჯოს I საბავშვო ბაღში სწავლისას აღმზრდელებმა მასში ის თვისებები აღმოაჩინეს, რომელიც მისი ასაკისათვის ჯერ კიდევ „ნაადრევი და თითქმის შეუფერებელი“ იყო – მორიდებული, მაგრამ კონტაქტური, ჩუმი, მაგრამ კომუნიკაბელური, თავაზიანი, ინტერესიანი და მეგობრული, ძალიან მეგობრული, თუმცა ოჯახის წევრებთან საკმაოდ მოძრავი და მოუსვენარი, სწორედ ისეთი, სიცოცხლე რომ უხარია. ყოველი დღის გათენებას და წლის ყველა დროს სიხარულით რომ ხვდება...*

*შემდეგ იყო სკოლის დაწყებითი განათლების საფეხური. აქაც გამოირჩეოდა მარიამი – თითქმის ყველა საგანი ერთნაირად აინტერესებდა და დღესაც ასეა – თანაც ყველა ასაკის ბავშვებთან ერთნაირი, თბილი და მეგობრული დამოკიდებულებითაა.*

*მარიამმა სკოლაში სწავლის პარალელურად თითქმის 8 წლის ასაკიდან დაიწყო ის დიდი შრომა, რომელმაც საოცარი, ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველა მოსწავლისგან განსხვავებული წარმატება და აღიარება მოუტანა. დიახ, აღიარება, , რადგან თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ვაღიაროთ, რომ მარიამი მიზანდასახული, შრომისმოყვარე, ინტერესიანი გოგონაა, რომელმაც ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობას გზა უნდა გაუკაფოს ახალი გამარჯვებებისა და წარმატებებისაკენ.*

*ძვირფასო გაზეთის მკითხველო, მარიამი დღეს ჩვენი სტუმარია, რომელიც მოკრძალებით იხსენებს დღემდე განვლილ გზას, სიხარულით, ჩუმი სიამაყით გვიყვება იმ წარმატებებზე, რომლებმაც მას ინგლისის ერთ-ერთ ელიტარულ სკოლაში Mount Kelly-ში 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსებით ორწლიანი სწავლების საგზური მოუპოვა:*



– **ბავშვობიდანვე** მიყვარდა ინგლისური. ჯერ კიდევ მახსოვს სკოლაში სანამ მივიდოდი, დედა ყოველდღე როგორ მასწავლიდა რამოდენიმე სიტყვას ძილისწინ. შეიძლება ზუსტად დედის გამოა ეხლა რომ ძალიან მიყვარს ინგლისური.

რვა წლის ვიყავი ბრიტანულ ცენტრში რომ დავიწყე სიარული და მე-7-ე კლასში დავამთავრე იქ სიარული, ამ დროისთვის უკვე C1 დონეზე ვიცოდი ინგლისური და სერტიფიკატიც კი ავიღე.

12 წლის აზროვნების აკადემიაში მივედი, სადაც ყოველ კვირა წიგნს ვკითხულობდით და განვიხილავდით. აქ კვირის საუკეთესო მკითხველის სერთიფიკატიც მივიღე. სპეციალურად მოწვეული სტუმრებიც გვყავდა ხოლმე, როგორიცაა ფსიქოლოგები, ეკოლოგიის ექსპერტები და მოძღვარი-თეოდორე გაგნიძე, რომლებიც ან თავიანთ გამოცდილებას გვიზიარებდნენ ან გარკვეულ თემას განვიხილავდით.

კანტის აკადემიაში 13 წლისამ დავიწყე სიარული. პირველი მოდული, რომელზეც სიარული დავიწყე ლიდერობა და დიპლომატია იყო. პირველი ლექტორი ზურაბ აგლაძე იყო და მახსოვს როგორ სხვანაირად დამანახა დიპლომატია და ლიდერობა, უფრო დამაფიქრა და დამაინტერესა, რაც მთავარია, გადამაწყვეტინა საბოლოოდ რომ მინდოდა დიპლომატი ვყოფილიყავი მომავალში. ყოველ შაბათ-კვირა სხვადასხვა ლექტორები გვიტარებდნენ ლექციებს. ზოგი ეტიკეტზე გვესაუბრებოდა, ზოგი სახელმწიფოთა ქმედებებზე, ქცევის მართვაზე, მოტივაციაზე და პოლიტიკურ იდეოლოგებზე. პოლიტიკურ იდეოლოგებზე გვესაუბრა გიორგი თარგამაძე და ბოლოს დებატებიც კი ჩაგვატარებინა. მისი ლექციები ერთ-ერთი დასამახსოვრებელი იყო.

მეორე მოდული, რომელიც კანტის აკადემიაში გავიარე, ქოუჩინგი და წარმატების სტრატეგია იყო. თუ პირველმა მოდულმა პროფესიულად გამზარდა, ამ მოდულმა სხვანაირად დამანახა ცხოვრება და პიროვნულად გამზარდა. ამ მოდულის შემდეგ “კანტის სტატუსზე” ვიყავი, სადაც 2 თვის თეორიული მომზადების შემდეგ, 1 თვე სტაჟიორი ვიყავი გარკვეულ კომპანიაში. მე პირადად აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრში (EECMD) ვიყავი. სტაჟიორობის დამთავრების შემდეგ მიმიწვიეს ახალი პროექტის გახსნაზე, სადაც USAID-ის წარმომადგენლები იყვნენ ჩამოსული ამერიკიდან, ვინაიდან ამ პროექტს ისინი აფინანსებდნენ.

ბოლო მოდული, რომელიც კანტის აკადემიაში გავიარე, ამერიკული სექტორია, რომელიც 2020 წლის მარტში დავამთავრე. კანტის აკადემიაში ამ მოდულის დამთავრების შემდეგ არა როგორც მოსწავლე, არამედ როგორც სტაჟიორი ვერთვებოდი. თვითონ კანტის აკადემიამ აგვირჩია დაახლოებით 20 კანტელი, რომლებსაც შემოგვთავაზეს იქ მუშაობა როგორც სტაჟიორებს.

პირველად ვიყავი ევრო კავშირის მოდელირებაზე, სადაც გამოცდილება მივიღე როგორც რეზოლუციის წერაში, ისე დებატებისა და გლობალურ პრობლემებზე მსჯელობაზე. იმ დროს ვიყავი 12 წლის და მინდოდა უფრო მეტი მოდელირება მეცადა. ეს მოდელირება ჩატარდა ივნისში და ნოემბერში კანტის აკადემიამ ჩაატარა პირველი გაეროს მოდელირება საქართველოში, GIMUN-ი. GIMUN-ზე გავხდი ჩემი კომიტეტის საუკეთესო დელეგატი და მალევე დეკემბერში შეგვატყობინეს – დაფინანსება მივიღე გაეროსაგან, რომ წავსულიყავი ნიუ იორკში ამ მოდელირებაზე გაეროს შტაბ-ბინაში. ნიუ იორკში ამ მოდელირებაზე სულ იყო 3000 დელეგატი და როგორც ჩვენი ხელმძღვანელი და კანტის დირექტორი მარეხი გვარამაძე იტყოდა “ყველა პოტენციური ლიდერია”. მოდელირების



განმავლობაში განსაკუთრებული შეხვედრა გვქონდა გაეროში საქართველოს წარმომადგენლის მოადგილესთან. ივნისში კიდევ ერთხელ ვიყავი მოდელირებაზე ბათუმში და შემდეგ სექტემბერში ლონდონში.

ამჟამად მოდელირებაში ვარ ონლაინ, თუმცა როგორც მენტორი, სადაც ბავშვებს 4 კვირის განმავლობაში ვასწავლით თუ როგორ დაწერონ რეზოლუცია, პოზიციის ფურცელი თავისი ქვეყნის გადმოსახედიდან და ა.შ.

2019 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არსებულმა “ქალთა ოთახმა” დამაჯილდოვა მედლით როგორც წარმატებული მანდილოსანი.

წინა წელს ჩავერთე “ლიტერატო”-ს საზაფხულო საკითხავებზე და ასევე შან-



სი მომეცა UNICEF-ის წარმამდგენელს საქართველოში, ღასან ხალილს შემეხვედროდი კიდევ ერთხელ, რომელთანაც მანამდე კანტის აკადემიიდან მქონდა კავშირი.

საბოლოოდ მოვედი HMC-სთან. HMC, ეს არის პროგრამა, რომელიც შანს აძლევს ევროპის ქვეყნების მოსწავლეებს ისწავლონ ინგლისის ელიტარულ სკოლებში, 20 თებერვალს გავიგე, რომ 100%იანი დაფინანსება მივიღე და 6 მარტს გავიგე, რომ Mount Kelly-ის სკოლამ ამირჩია და მომცა სრული დაფინანსება, სადაც გავაგრძელებ სწავლას.

თუმცა, არ მინდა დავივიწყო დედა, რომლის გარეშე მე იქ არ ვიქნებოდი, სადაც ვარ. დედა, ეს არის ადამიანი ჩემთვის, რომელიც ყოველთვის მხარში მედგა და ცდილობდა უკეთესი ვერსია ვყოფილიყავი ჩემი თავის ყოველდღე, განვითარებულიყავი და წარმატებული ვყოფილიყავი. მართალია, ყველა დედა განსაკუთრებულია, თუმცა ჩემთვის უფრო განსაკუთრებულია, რადგან დამეხმარა ვყოფილიყავი მე მე და პროფესიული ბილიკის გაკვალვაშიც დამეხმარა. მართალია, გვერდში ასევე მამა, ჩემი ძმა და რძალიც მედგა და მაძლევდნენ მოტივაციას , თუმცა დედამ ყველანაირად ხელი შემიწყო. არ არსებობს ადამიანი, რომლისთვისაც მარტივია დილის 11-დან საღამოს 8-მდე მანქანაში იჯდე და ილოდებოდე, როდის დამთავრდება გაკვეთილები. უბრალოდ მიხარია და მადლობელი ვარ, რომ მყავს ასეთი დედა და ოჯახი, რომლის ნაირი შეიძლება ძალიან ცოტაა ან საერთოდ არაა დედამიწაზე ჩემთვის.

***აი, რას ამბობენ თავად მარიამ ასრათაშვილზე სკოლაში:***

*ლია შენგელიძე* – ***ნინოწმინდის საჯარო სკოლის დირექტორი:***

***– მარიამი ლამაზი, ჭკვიანი, მშვიდი, გაწონასწორებული გოგონაა. გამოირჩევა სწავლაში წარმატებით, მიზანდასახულობით, დამოუკიდებლობით.***

***კომუნიკაბელურია; მოსწავლე- მასწავლებლებს შორის სარგებლობს განსაკუთრებული ავტორიტეტითა და სიყვარულით.***

***კარგად აღზრდილია, აქვს შინაგანი დელიკატურობა.***

***კარგად ფლობს ინგლისურ ენას, ჩართულია სხვადასხვა პროექტებსა და აქტივობებში.***

***მშობლიური სკოლა ვამაყობთ მარიამის წინსვლა- წარმატებებით, გვეიმედება და დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენი უჭკვიანესი გოგონა საკუთარ უნარ-შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოავლენს თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ.***

***წარმატებებისკენ მიმავალ გზებს დავულოცავთ მარიამს და ვეტყვით, რომ ძალიან გვახარებს!***



*მანანა გეგელიძე* **– *სამოქალაქო განათლების მასწავლებელი:***

***– მარიამი საუკეთესოა ნინოწმინდის საჯარო სკოლაში, გამოირჩევა სწავლის მაღალი დონით, არის სათნო, კეთილშობილი, თავმდაბალი, დიდსულოვანი, კომუნიკაბელური. სწორედ ამ თვისებებმა და საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრებამ მიიყვანა იგი წარმატების გზაზე. მარიამს კარგად აქვს გააზრებული სამშობლოსა და საზოგადოების წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობის გრძნობა და ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნაში, იყოს შემოქმედი, თავად შექმნას დირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე.***

***მე მჯერა მარიამის! იგი მოახდენს საკუთარი შესაძლებლობების და ინტერესების მაქსიმალურ რეალიზებას, როგორც საკუთარი ქვეყნისათვის, ისე მის საზღვრებს გარეთაც. გზა დავულოცოთ დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე მარიამს და ვუსურვოთ წარმატებები.***

**მაყვალა ჩალათაშვილი, *ნინოწმინდის საჯარო სკოლის X კლასის დამრიგებელი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:***

– 35 წლის მასწავლებლად მუშაობის სტაჟი მაქვს. სიამაყით მინდა გითხრათ, რომ მარიამ ასრათაშვილისნაირი მოსწავლე და პიროვნება არ მინახავს. მარიამი კომუნიკაბელური, კეთილშობილი, საოცრად თავმდაბალი გოგონაა. შეუძლია მადლი ქნას, ქვაზე დადოს, არავის აგრძნობინოს, რომ ეს მან გააკეთა... მიდრეკილება აქვს პოლიგლოტობისკენ. მას მხოლოდ ინგლისური, რუსული და სხვა ევროპული ენები არ აინტერესებს – იაპონური, ჩინური, კორეული ენებითაც დაინტერესდა. სულ ძიებაშია, სულ სწავლაშია. ხშირად გამკვირვებია, როგორ, რანაირად შეიძლება ამ პატარა გოგონაში იყოს ამხელა ნიჭიერება, ენერგია, ინტერესი. მას ყველა საგანი აინტერესებს, ყველა საგანს ერთნაირი სიძლიერით ფლობს, ყველა ადამიანს თბილად და ყურადღებით ეპყრობა.

მარიამი მიზანდასახული და ამ მიზნებისკენ საკმაოდ გაბედულად ორიენტირებული გოგონაა. მჯერა ის გვასახელებს ჩვენც, ნინოწმინდელებსაც და სრულიად საქართველოსაც. წარმატებები მარიამს.

**რედაქციისგან:** ***წარმატებები, მარიამ! ჩვენი გაზეთის მკითხველის სახელით გზას დაგილოცავთ. დაე, საინტერესო, წარმატებული გზა-სავალებით გაგევლოს ის გზები, რომლებიც შენ მიზანდასახულად გამოძერწე ჯერ კიდევ სკოლის კედლებში, გზები, რომლებიც საბოლოო გამარჯვებისკენ და ოცნებების ახდენასთან მიგიყვანს!***

# ეს ჩვენი მიწა-წყალია!

## მალე „ცივ-გომბორის აღკვეთილის“ არსებობასაც ვიზეიმებთ



**მარიამჯვარის** ***სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია, ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამსახურია, რომელიც ზედამხედველობას უწევს ჩვენს მუნიციპალიტეტსა და ნაწილობრივ მის ფარგლებს გარეთ არსებული ჩვენი დიდი ეროვნული სიმდიდრეების – დაცული ტერიტორიების ნორმალურად ფუნქციონირებას და მათში აღმოსავლეთ საქართველოს ზონის ფლორისა და ფაუნის უნიკალური ეგზემპლარების დაცვის საშვილიშვილო და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის საქმეს. ჯერ კიდევ შარშან გახმიანდა ნაკრძალის ადმინისტრაციისა და ბუნების მოყვარული ყველა ადამიანისათვის სასიამოვნო საქმე – ნაკრძალის ადმინისტრაციისათვის საგარეჯოს მხრიდან დამატებითი ტერიტორიების გადაცემისა და ახალი აღკვეთილის შექმნის თაობაზე, რაც 2020 წლის ბოლომდე უნდა დასრულებულიყო, თუმცა, მიზეზთა „სხვათა და სხვათა“ გამო ეს საკითხი ჯერჯერობით არ მოგვარებულა და კვლავ განხილვის სტადიაშია. კერძოდ, თუ რა სტადიაშია ამ საკითხის განხილვა და რა ფართობების გადაცემაზეა საუბარი ნაკრძალის ადმინისტრაციისათვის, ამ საკითხის გასარკვევად ვესაუბრეთ მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის ახალგაზრდა თავკაცს, მეტყევე მეცნიერს ბ-ნ*** **ზვიად ტიბინაშვილს**, ***სადაც, რა თქმა უნდა, სხვა საკითხებზეც მოგვიხდა საუბარი.***

***– რამდენ ფართობზეა მარიამჯვრის ნაკრძაკლის ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში არსებული სამცველო ტერიტორიები?***

– მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარებული ფართობების ჯამი ამ ეტაპზე არის 4 865 ჰა.

***– რომელი ნაკრძალები შედის და რა ფართობზეა. სად იწყება და სად მთავრდება?***

– მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციაში შედის:

მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალი 1023 ჰა., მდებარეობს მდ. „ტბის რიყე“-სა და მდ. „თოხლიაურის ხევის“ შორის, სოფ. ანთოკის ჩრდილოეთით, მთა „ცივი“ -მდე.

ყორუღის აღკვეთილი 1716 ჰა., იწყება სოფ. გიორგიწმინდის მიწებიდან „ნაიორალი“-დან და მთავრდება სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. მაღაროს საზღვართან, ე.წ. „კოვზების ხევი“-თან.

იორის აღკვეთილი 2126 ჰა., იწყება „კოვზების ხევი“-დან და გრძელდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზღვრამდე. შემდეგ გრძელდება „ჭაჭუნას აღკვეთილი“ აზერბაიჯანის საზღვრამდე.

***– რამდენი ადამიანი მუშაობს ადმინისტრაციაში, ვინ რაზე მუშაობს?***

– ამ ეტაპზე, ადმინისტრაციაში მუშაობს 12 ადამიანი, აქედან:

ადმინისტრაციაში 4: დირექტორი, დაცვის განყოფილების უფროსი, ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი და დამლაგებელი (ხელშეკრულებით).

რეინჯერი 8 – 2 მარიამჯვარის ნაკრძალში, 4 – ყორუღის აღკვეთილში და 2 იორის აღკვეთილში.

***– რა გაკეთდა 2020 წელს ნაკრძალების დაცვის გაუმჯობესებისათვის და რეინჯერების მუშაობის გასაადვილებლად? საყოფაცხოვრებო კუთხით?***

– კონკრეტულად, 2020 წელს განსაკუთრებული არაფერი, დაცვის გაუმჯობესების საკითხი დინამიურად მიმდინარეობს წლების განმავლობაში. ყოველ წელს რეინჯერებს უტარდებათ ტრენინგები, როგორც კანონმდებლობის, ასევე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის, ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების, ტყის დაცვის მიმართულებით და სხვა.

ყოველ წელს, სეზონურობის გათვალისწინებით ურიგდებათ უნიფორმა და ფეხსაცმელი. მუდმივად მიმდინარეობს არსებული ტექნიკის განახლება, ეს იქნება: ფოტო/ვიდეო მახეები, რაციები, სამკერდე კამერები, სახანძრო ინვენტარი და სხვა.

ყველა რეინჯერს აქვს სამსახურებრივი საშტატო ცეცხლსასროლი იარაღი „ვინჩესტერის“ სისტემის.

ტყის დაცვას ემსახურება 3 მაღალი გამავლობის ავტომანქანა და 3 ცხენი.

### დაცული ტერიტორიების ეროვნული პარკის შექმნის პერსპექტივა საგარეჯოში



***– ვის გამოჰყოფდით, როგორც საუკეთესოს 2020 წ. რეინჯერებიდან?***

– 31 ივლისი მსოფლიო რეინჯერთა დღეა, რა დროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ადმინისტრაციებში ხდება „წლის რეინჯერის“ გამოვლენა, რომლის პატივი, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, ადმინისტრაციის ყველაზე სტაჟიან და გამოცდილ რეინჯერს ბესიკ დიღმელაშვილს ხვდა წილად. „წლის რეინჯერის“ სერთიფიკატი, სხვა ფასიან საჩუქრებთან ერთად ბესიკ დიღმელაშვილს გადასცა გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში ლუიზა ვინტონმა. აღსანიშავია, რომ მსგავსი ჯილდოები ჩვენს რეინჯერებს არაერთხელ აქვთ მიღებული.

***– „წლის რეინჯერის“ გარდა, კიდევ თუ მიიღო ადმინისტრაციამ ზემდგომებიდან რაიმე სახის წახალისება?***

– სხვა სახის წახალისება 2020 წელს ადმინისტრაციის თანამშრომლებს არ მიუღია.

***– როგორ გადაწყდა 2020 წელს ნაკრძალის ადმინისტრაციისათვის მიმდებარე ტყეების გადმოცემის საქმე, რა ფართობზე იყო საუბარი?***

– აღნიშნული საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს, საჭიროა კანონში ცვლილების შეტანა,რაც უკვე მომწიფებულია და ველოდებით საკანონმდებლო ორგანოში საკითხის კენჭისყრაზე გატანას. არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ საშვილიშვილო საქმეში საქართველოს IX მოწვევის პარლამენტის, საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატის ბატონი რომან მუჩიაშვილის მონაწილეობა, მან კანონპროექტი პირად კონტროლზე აიყვანა და კაბინეტიდან კაბინეტში ატარა. აქვე აღსანიშნავია, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბატონ ოთარ ჩალათაშვილის და ქალაქის მერის ბატონ სოსო მარხვაშვილის მონაწილეობა და აქტიურობა.

ნაკრძალის გაფართოება მოხდება ნაკრძალიდან დასავლეთის და ჩრდილოეთის მიმართულებით სულ დაახლოებით დაემატება 5000 ჰა-მდე და ექნება აღკვეთილის სტატუსი და იქნება „ცივ-გომბორის“ აღკვეთილი. სამომავლოდ შესაძლებელია დაცული ტერიტორიების კვლავ გაფართოება უკვე თელავის მიმართულებით და ეროვნული პარკის შექმნა (თუმცა ეს შორეული პერსპექტივაა).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთ დროს ამ საკითხით დაინტერესებული იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ყოფილი მერი ბატონი გიორგი გზირიშვილი და მისი მოადგილე დავით ივანიშვილი, თუმცა მაშინ ამ მასშტაბებზე არ იყო საუბარი. მაშინ მხოლოდ მდ. „თვალთხევის“ წყალშემკრებ აუზზე იყო საუბარი.

***– გამოიწვევს თუ არა ფართობების დამატება რეინჯერების დამატების აუცილებლობას? რამდენი კაცი, ტექნიკა იქნება საჭირო?***

– რა თქმა უნდა, ფართობის შემოერთებასთან ერთად ველოდებით შტატების დამატებას. დაგვემატება სულ 5, აქედან 4 რეინჯერის და 1 უფროსი რეინჯერის შტატი შესაბამისი ტექნიკით.

***– ეკოტურიზმის განვითარებისათვის თუ გაკეთდა რაიმე 2020 წელს, ან ამ წელში თუ გაკეთდება?***

– როგორც მოგეხსენებათ, ამ ეტაპზე ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარებულ ფართობებზე ტურისტული ინფრასტრუქტურა მოწყობილი არ არის, რადგან ნაკრძალში კანონით აკრძალულია, ხოლო აღკვეთილებში გარკვეულ ფართობებზე მოწყობილია სამონადირეო მეურნეობები...

გადმოსაცემი ფართობები (შემდგომში „ცივ-გომბორის აღკვეთილი“) გამოირჩევა უდიდესი ტურისტული პოტენციალით, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებთ და ამ მიმართულებით ძალიან დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი, რაშიც ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის დიდი იმედი გვაქვს.

***– რა ღონისძიებები გაატარეთ მოსახლეობაში გარემოსდაცვითი შეგნების ასამაღლებლად? რამდენი სანქცია გაიცა ბრაკონიერებზე?***



– გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“-ს ერთერთი ძირითადი მიზანი და მიმართულებაა. ამ მიმართულებით უდიდესი სამუშაოები მიმდინარეობს, კერძოდ: უკვე სკოლამდელი ასაკიდან იწყება ბავშვებთან საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება; ასევე, დაცული ტერიტორიების მიმდებარე სკოლებში რეგულარულად მიმდინარეობს ლექცია-სემინარების ჩატარება, ეკოტურების მოწყობა და სხვა აქტივობები; მიმდინარეობს ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზება, გარემოსდაცვითი აქციების მოწყობა „მწვანე კალენდრის“ მიხედვით და სხვა.

გასული 2020 წლის განმავლობაში შედგენილი იქნა 52 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, აქედან 90% საქონლის უკანონო ძოვებაზე მოდის, დანარჩენი - გარემოს დანაგვიანებაზე,უკანონო თევზაობაზე, რეჟიმის დარღვევაზე, იარაღით გადაადგილებაზე და სხვა.

***– რა მიღწევები ჰქონდა ადმინისტრაციის დირექტორს სამეცნიერო სახის მუშაობაში? წელს რას აპირებთ?***

– რაც შეეხება ჩემს სამეცნიერო მოღვაწეობას, გამოქვეყნებული მაქვს 53 სამეცნიერო ნაშრომი (2020 წელს 7), აქედან: 8 საერთაშორისო (უცხოური) ჟურნალებში, მათ შორის 5 ინფაქტ-ფაქტორიანი, 3 მონოგრაფია და 2 ლექსიკონი, საერთაშორისო კონფერენციები-16.

აქტიურად ვაგრძელებ ჩემს სამეცნიერო საქმიანობას, ვარ რამდენიმე სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელი და ძირითადი შემსრულებელი.

მაქვს 1 გამოგონება - ხის სიმაღლმზომი და ფერდობის დახრილობის კუთხის საზომი ხელსაწყო (ამ ეტაპზე, არ არის დაპატენტებული).

გარდა სამეცნიერო საქმიანობისა, აქტიურად ვარ ჩართული პედაგოგიურ მოღვაწეობაში, 2017 წლიდან ვარ მიწვეული ასოცირებული პროფესორი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და ვკითხულობ ლექციებს სატყეო მიმართულების დისციპლინებში.

აქტიურად ვთანამშრომლობ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან,2016 წლიდან ვარ სატყეო განყოფილების კოორდინატორთა ჯგუფში. 2017 წელს მაქვს მიღებული საპატიო სიგელი სატყეო დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

მონაწილეობას ვღებულობ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „აკადემიის სტიპენდიატის“ პოზიციაზე. უკვე რამოდენიმე წელია აკადემიებში გაუქმდა წევრ-კორესპონდენტის ინსტიტუტი და „აკადემიის სტიპენდიატი“ გათანაბრებულია აღნიშნულ პოზიციასთან. კონკურსის შედეგები მ.წ. 22-23 მარტს იქნება ცნობილი.

***– რა სიახლეებია მოსალოდნელი ადმინისტრაციის საქმიანობაში ამ წელს?***

– სიახლეებს ბევრს ველოდებით, დავიწყოთ ტერიტორიების გაფართოებით, რომელიც მართლაც საშვილიშვილო საქმეა. იმედი გვაქვს დაიწყება ჩვენი ადმინისტრაციის შენობის და ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა, რომელიც შარშან ამ დროს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მსოფლიოში განვითარებულმა ცნობილმა მოვლენებმა ხელი შეგვიშალა. ადმინისტრაციულ შენობასთან ერთად უნდა აშენდეს ვიზიტორთა ცენტრი, უნდა მოხდეს ეზოს კეთილმოწყობა (8000კვ.მ), სადაც იქნება რეკრიაციული ზონები, საკემპინგე ადგილები, ბუნგალოები, ბავშვთა გასართობი სივრცეები და სხვა.

როგორც მოგეხსენებათ, მარიამჯვრის ნაკრძალი თბილისიდან კახეთის მიმართულებით პირველი დაცული ტერიტორიაა და იქ, ვიზიტორთა ცენტრში მოხვედრილი ტურისტი ამომწურავ ინფორმაციას მიიღებს დაცული ტერიტორიების და რეგიონის, თუ მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნავი ადგილების და სერვისების შესახებ, და იქვე ეძლევა საშუალება ეფექტურად დაგეგმოს თავისი დაუვიწყარი მოგზაურობა კახეთში, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი მუნიციპალიტეტის, ჩვენი რეგიონის, ჩვენი ქვეყნის კიდევ უფრო მეტ პოპულარიზაციას და განვითარებას.

***ესაუბრა***
*გივი დაბახიშვილი*

# 21 მარტს ნოვრუზ-ბაირამი იზეიმეს

## ახალი წარსულიდან

## პირველი უცხოტომელები, ამჟერად ჩვენი მიწა-წყლისანი, გარეჯის მიწაზე




**ჩვენი** მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანული დასახლება გარეჯულ მიწაზე არსებობის ორ საუკუნემდე ისტორიას ითვლის. ჩვენი რაიონის ისტორიის დიდი მკვლევარისა და მოამაგის, ისტორიკოს ალექსანდრე ელერდაშვილის ცნობებზე დაყრდნობით, ეს ტერიტორიები XVII-XVIII საუკუნეებისათვის ნაწილობრივ საბატონო, ნაწილობრივ კი სახასო საკუთრებას წარმოადგენდა. 1616 წელს ირანის მბრძანებელი შაჰ-აბას I მიერ კახეთის აოხრებისა და მკვიდრი მოსახლეობის ირანში გადასახლების შემდეგ, ისე, როგორც კახეთში, ასევე ამ ადგილებში ჩასახლება დაუწყეს ნომადურ ტომებს, მაგრამ 1659 წელს, კახეთის აჯანყების შედეგად ისინი მთლიანად განდევნეს კახეთიდან. XVIII საუკუნის დასაწყისიდან, ივრისპირეთის ეს ღალიანი მიწები იჯარით ეძლეოდათ ბორჩალოს ტომის თურქმანულ თოხუმებს პირუტყვის საძოვრად. მათ დროებით დასახლებებს „ობა“ ერქვა, რაც ნიშნავს ქეჩისგან გაკეთებულ კარავს, რაშიც მომთაბარე ოჯახი ცხოვრობდა. ერთ ისტორიულ დოკუმენტში ივრის ჭალაში ორი თურქმენული „ობა“ იყო – „სახლთხუცის ობა“ და „ზარგარ ობა“. თითოეულ ამ ობაში ერთი წარმოშობის, ერთი გვარეულობის „ერთი თოხუმის“ ხალხი ცხოვრობდა. ამ მიწის ნაწილი თავად ანდრონიკაშვილებს ეკუთვნოდათ, ნაწილი კი სახასო – შიბლიანელებს და კაკაბელებს, სადაც მოჰყავდათ პური, ბოსტნეული, ამასთან, ივრის ტოტებზე ჩადგმული ჰქონდათ წისქვილები.

ამის შემდგომ პერიოდში, კერძოდ, საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, ამ ტერიტორიაზე ინტენსიურად დაიწყო თურქმანებისა და აზერბაიჯანელების ჩამოსახლება. მე-19 საუკუნის 50-60-იანი წლებიდან უკვე ჩნდება მკვიდრი დასახლებები, პირველი ხიზნების სახით. მათ 1360 დესეტინა მიწის ათვისებაც დაიწყეს. აქაური დასახლების მცხოვრებნი ერთი მოდგმისა და ერთი მხარის ხალხი არაა. ისინი სხვადასხვა მხრიდან მოსულები და წარმომავლობისანი არიან. ლამბალოელები აზერბაიჯანის ყოფილი სსრ ყაზახის რაიონიდან, თულარელები – ბორჩალოდან, მუღანლოელები სომხეთის ენჯივანის რაიონის სოფელ ყარაყოინლუდან, დუზაგრამელები – ყარაბახიდან და ა.შ. თავდაპირველად თულარელები ესახლნენ სოფელ ბოგდანოვკის (ამჟამინდელი მზისგული) მახლობლად, ქეშალოელები – კაზლარის აღმოსავლეთით, ივრის პირას, დუზაგრამელები – არაშენდის მახლობლად „აგრამაში“ დასახელებულ ანდრონიკაშვილების მამულში, მაგრამ მერე უთანხმოება მოუვიდათ თავადთან და დღევანდელ დუზაგრამაში სახაზინო მიწაზე გადმოვიდნენ საცხოვრებლად. მათვე შეუერთდნენ სოფელ პალდოდან გადმოსახლებული აზერბაიჯანელები. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ სახაზინო მიწებზე გადმოსახლდნენ თულარელები და ქეშალოელებიც. მათი წინაპრები რელიგიით მუსულმანები იყვნენ, მაგრამ სხვადასხვა მიმდინარეობის – დუზაგრამელები შიიტები იყვნენ, სხვები – სუნიტები (ალ. ელერდაშვილი. გაზ. „ივრის განთიადი“, 1982 წ. 29.04).

ამ დასახლების მოსახლეობის უმრავლესობა გასაბჭოებამდე მიწურებში ცხოვრობდა, შემდეგ კი გაჩნდა სკოლები, სამედიცინო და სავაჭრო დაწესებულებები, კლუბები, ბიბლიოთეკები.

1980-1982 წლებისათვის ამ ტერიტორიაზე რვა სოფელი იყო გაშენებული – კაზლარი, თულარი, ლამბალო, ქეშალო, მუღანლო, წიწმატიანი, პალდო, დუზაგრამა, რომლებიც ივრის ზეგანზე, 10 კმ. სიგრძის ფართობზე გრძელდებოდნენ. აქაური მოსახლეობა მთლიანად აზერბაიჯანულ ენაზე მეტყველებს და აზერბაიჯანელებადაც ეწერებიან. აღნიშნული სოფლების მოსახლეობა ორ - იორმუღანლოსა და დუზაგრამის სასოფლო საბჭოში ერთიანდებოდა. სოფლები: კაზლარი, თულარი, ლამბალო, ქეშალო და მუღანლო – იორმუღანლოს, ხოლო წიწმატიანი, პალდო და დუზაგრამა – დუზაგრამის სასოფლო საბჭოში შედიოდა. აქედან, იორმუღანლოს საბჭოში 1982 წლისთვის აღრიცხული იყო 1766 კომლი – 10953 მცხოვრებით, ხოლო დუზაგრამაში – 483 კომლი – 2581 ადამიანით.

1959 წლამდე ორივე საბჭო შედიოდა ჯერ გურჯაანის, შემდეგ კაჭრეთის რაიონების დაქვემდებარებაში, 1959 წლის შემდეგ კი საგარეჯოს რაიონში.

იმავე, 1982 წლისათვის, აღნიშნულ სოფლებში ფუნქციონირებდა კაზლარის დაწყებითი, მუღანლოს რვაწლიანი და ლამბალოს, იორმუღანლოს და დუზაგრამის საშუალო სკოლები 3288 მოსწავლითა და 188 მასწავლებლით. მუშაობდა სასოფლო საავადმყოფო 25 საწოლზე. პირველი ექიმი, ვინც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი ფრიადზე დაამთავრა, იყო ჯავათ შაბანოვი. იმავე პერიოდისთვის აქ ფუნქციონირებდა ორი დიდი მეურნეობა – ლამბალოს მეთესლეობა-მეცხოველეობისა, და იორის სახელმწიფო სანერგე მეურნეობა. ორივე მეურნეობის სავარგულების საერთო ფართობი შეადგენდა 8211 ჰა-ს, საიდანაც სახნავი იყო 3357 ჰა და გაშენებული ჰქონდათ საერთო ჯამში 1037 ჰა ვენახი. ფუნქციონირებდა მეცხოველეობის ფერმები. მთლიანად დასახლებაში ფუნქციონირებდა 5 სასოფლო კლუბი, 8 ბიბლიოთეკა, მაღაზიები, საბავშვო ბაღები, სასადილო.



მოსახლეობის შემოსავლის წყაროს საბჭოთა მეურნეობებში, რაიონისა და რესპუბლიკის ქალაქებში მუშაობის გარდა, მეცხოველეობა და მიწათმოქმედება წარმოადგენდა. სასოფლო სამეურნეო მიწების გასარწყავებას ემსახურებოდა სამი კუსტარული – ჯაფარ ოღლის, თულარის, დუზაგრამის სარწყავი არხები., ასევე, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხი, თავისი შესაბამისი გამშვებებით. თუმცა ვახუშტი ბატონიშვილის აღნიშვნისა არ იყოს, ამ დროისათვის ეს ადგილი ნაყოფიერებით აღმკული, გარნა წყლისთვის შემჭირნეობდა“ (მხედველობაშია სასმელი წყალი).

***(მომავალ ნომრებში გაგაცნობთ თემების მოსახლეობის საქმიანობას)***

## მათთვის საქართველო მშობლიურ მიწა-წყლად იქცა

**ეს** ხალხი საქართველოში, უკვე ას წელიწადზე მეტია, ცხოვრობს. დაახლოებით 150-მდე ადამიანი დარჩა. ისინი თავიანთ ენაზე ლაპარაკობენ და თავს ლაიჯებს უწოდებენ.

ამგვარი ეთნონიმის ხალხის არსებობა არსად არ დასტურდება. თავიდან მათ თათრებს ეძახდნენ, 1939 წლის საყოველთაო აღწერის შემდეგ კი ისინი აზერბაიჯანელებს მიათვალეს.

“მაგრამ ჩვენ თავს აზერბაიჯანლებად არ მივიჩნევთ. ჩვენი ენა ჯერაც ცოცხალია, თუმცა უკვე გაქრობის პირასაა. სულ უფრო ცოტა ვხდებით, მალე ამ ენაზე მოლაპარაკე აღარავინ დარჩება.

რასაკვირველია, კარგი იქნებოდა ჩვენი ეთნიკური ჯგუფის ოფიციალურად დარეგისტრირება, მაგრამ ვინ შეიძლება ამით დაინტერესდეს? – დაახლოებით ასეთი იყო იმ საუბრის საერთო აზრი, რომელიც საქართველოს ***კახეთის რეგიონის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გომბორში*** ჩასვლისას ადგილობრივ მოსახლეებთან მქონდა.

**ეს** სოფელი მდებარეობს გომბორის უღელტეხილზე, რომელიც თბილისს კახეთთან აკავშირებს. აქედან დედაქალაქამდე დაახლოებით 55 კილომეტრია.

სოფელი საკმაოდ მაღლა მდებარეობს – ზღვის დონიდან 1,130 მეტრზე, და გარშემო ხშირი ტყე აკრავს. სწორედ ტყე იქცა არჩევანის განმსაზღვრელ ფაქტორად ლაიჯების იმ პირველი ჯგუფისთვის, რომელიც მაშინდელი ბაქოს გუბერნიიდან საქართველოში ჩავიდა. მათ სოფელს იქ ლაჰიჯი ეწოდებოდა, დღევანდელი აზერბაიჯანის ისმაილის რაიონი.

ამ გადასახლებული ხალხისთვის ტყე ნიშნავდა უამინდობისგან თავშესაფარს, საკვების მოპოვებას და, რაც მთავარია – ტყე შემოსავლის გაჩენის საშუალებასაც იძლეოდა: შეიძლებოდა ხეების ნახშირად გადაქცევა, და შემდეგ მისი გაყიდვა.

“თავიდან მხოლოდ მამაკაცები ჩამოდიოდნენ,– ჰყვება სოფლის მკვიდრი, ყოფილი უხუცესი აივაზ ჯაფაროვი,– ისინი ნახშირის გამოწვით იყვნენ დაკავებულები, იმ დროს ხის ნახშირი ფართოდ გამოიყენებოდა სამჭედლოებსა და სადნობ ღუმლებში. მაგრამ ნახშირი ყველაზე პოპულარული იყო ოჯახურ ყოფაში – მას სამოვარების გასახურებლად და მწვადების შესაწვავად იყენებდნენ“.

გადასახლებულები თავდაპირველად მთელ რეგიონში მკვიდრდებოდნენ – იქ, სადაც სამუშაოსა და საცხოვრებელს ნახავდნენ. როცა დაფუძნდნენ, ოჯახების ჩამოყვანაც დაიწყეს. და საბოლოოდ მეორე მსოფლიო ომის დროს ლაიჯებმა საბოლოოდ მოიყარეს თავი სოფელ გომბორში.

„ლაჰიჯიდან რატომ წამოვედით?“ ამ კითხვაზე პასუხი რომ გაგცეთ, მე-7 საუკუნიდან უნდა დავიწყო. ეს სპარსი მმართველების, სასანიდების დინასტიის ხანა იყო და სწორედ მაშინ გადასახლდნენ ჩვენი წინაპრები სპარსეთიდან ლაჰიჯში“,– გვიამბობს აივაზ ჯაფაროვი.

“მე-17 საუკუნისთვის ლაჰიჯი უკვე განვითარებული ხელოსნობის ცენტრად იქცა. იქ ცივ იარაღსა და სპილენძის ნივთებს ამზადებდნენ. გამალებული ვაჭრობა მიმდინარეობდა და ადამიანები მდიდრულად ცხოვრობდნენ.

ასე გაგრძელდა მე-19 საუკუნის ბოლომდე, ვიდრე მანქანები შემოვიდოდა და ხელნაკეთი სპილენძის ნივთები მკვთრად შემცირდებოდა. დაიწყო უმუშევრობა, თან ხშირად არეულობაც ხდებოდა. და ლაიჯებმა დასახლების დატოვება და ახალი საცხოვრებელი ადგილების ძებნა დაიწყეს. მათი ნაწილი საქართველოში გაემგზავრა“.

აივაზ ჯაფაროვის მშობლები, 20 სხვა ოჯახთან ერთად, გომბორში 1930-იან წლებში ჩავიდნენ. მამაკაცები ერთ გუნდად მუშაობდნენ, ნახშირის გამოწვას ეწეოდნენ, ქალები კი საოჯახო მეურნეობას უძღვებოდნენ.

თუმცა, ამას „საოჯახო მეურნეობა“ პირობითად თუ ერქვა, რადგან ისინი საკმაოდ ხანგრძლივად ცხოვრობდნენ ტყეში, თივისგან გაკეთებულ კარვებში. და მხოლოდ ცოტაოდენი ფულის დაგროვების შემდეგ შეძლეს, რომ სოფელში თანამემამულეებს შეერთებოდნენ, პატარა სახლი აეშენებინათ და საქონელი ჰყოლოდათ.

“მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, ყველა მამაკაცი ფრონტზე წაიყვანეს. ბევრი დაიღუპა. ომიდან არც მამაჩემი დაბრუნებულა, და მე ის არასდროს მინახავს – ის 1942-ში გაიწვიეს, მე კი 1943-ში გავჩნდი“,– ჰყვება აივაზ ჯაფაროვი.

„სოფლის საბჭოში ჩემი დაბადების მეტრიკის გაცემისას დედას ქმრის საბუთების წარდგენა მოსთხოვეს, მას კი არანაირი საბუთი არ ჰქონდა. ქართული არ იცოდა და თითქმის არაფერი ესმოდა. და ასე მოხდა ჩემს გვართან დაკავშირებით ეს კაზუსი.

– ბიჭს რა ქვია? – ეკითხებიან მას.

– აივაზი,– პასუხობს ის.

– მამას რა ქვია?

– ჯაფარი.

– ესე იგი, აივაზ ჯაფაროვი იქნება”.

ასე მიიღო გვარი ყველა ლაიჯმა, რადგან ეთნოსის ტრადიციაში მაშინ მხოლოდ სახელები არსებობდა. ასე გაჩნდა მათ შორის დღეს გავრცელებული გვარები – ისმაილოვი, მამედოვი, ალიევი და სხვა.

ამ ადგილის მიმართ ყოველთვის იჩენდნენ ინტერესს რუსი სამხედროები. საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთებიდან ძალიან მალე აქ სამხედრო ქვედანაყოფების განლაგება დაიწყო: 1801 წელს ჩამოვიდა საარტილერიო, შემდეგ კი ქვეითი ბატალიონი. რუს ოფიცრებს თავიანთი ოჯახები ჩამოჰყავდათ და აფუძნებდნენ სოფელს, რომელსაც სლობოდას უწოდებდნენ.

XIX საუკუნის ბოლოსთვის, ანუ ლაიჯების გადმოსახლებამდე, გომბორის მოსახლეობას 600 ადამიანი შეადგენდა, და პრაქტიკულად ყველა მათგანი რუსი იყო.

1888 წელს აშენებული გომბორის სამხედრო ეკლესია საბჭოთა დროს კინოთეატრად გადააკეთეს

საბჭოთა დროს აქ განლაგებული იყო მსხვილი სამხედრო ბაზა, რომელსაც საკმაოდ განვითარებული ინფრასტრუქტურა ჰქონდა, და მის შემადგენლობაში იყო სარაკეტო ბრიგადაც.

ბევრი ლაიჯი მამაკაცი ჩადგა მაშინ მუდმივ სამხედრო სამსახურში, ქალებმა კი ჰოსპიტალსა და სამეურნეო ნაწილში დაიწყეს მუშაობა.

ლაიჯების რაოდენობა თანდათან მატულობდა და 1989 წლისთვის 400 ადამიანს გადააჭარბა. თითქოს ცხოვრება დალაგდა.

მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ: საბჭოთა კავშირი დაიშალა და სამხედრო ბაზა გაუქმდა. რუსი სამხედროები ოჯახებიანად გაემგზავრნენ.

მთელი სამხედრო ქონების რუსეთში თან წაღება შეუძლებელი იყო. გადააგზავნეს რაკეტები და მსხვილი ტექნიკა, სატვირთო ავტომობილები კი ან დატოვეს, ან ადგილობრივ მაცხოვრებლებს მიჰყიდეს. და გომბორში ეს მანქანები მეურნეობაში დღემდე გამოიყენება.

აღარ იყო არც სამხედრო ბაზა, არც საბჭოთა კოლმეურნეობა და ლაიჯები უსაქმოდ დარჩნენ. ახალგაზრდობამ შემოსავლის საძებნელად სოფლიდან გამგზავრება დაიწყო.

დასასრული მე-7 გვერდზე

№6(236) 2021 წელი, 16-31 მარტი

# საზოგადოებრივი აზრი

## მანაველები საფლავების მძარცველთა გამოვლენასა და სათანადო დასჯას ითხოვენ

**მიცვალებულთა** სამუდამო განსასვენებლის ნებისმიერი სახით ხელყოფა ოდითგანვე დიდ ცოდვად, დიდ მკრეხელობად აღიქმება. ამ ქმედებით, მატერიალურ ზარალს რომ თავი დავანებოთ, არა მარტო მიცვალებულთა ხსოვნას, არამედ მიცვალებულთა ჭირისუფლებსაც ადგება მორალური ზიანი და შეურაცხყოფა. ამიტომაც, ქართველი კაცი, მოსახლეობა მუდამ შეურიგებელი იყო და დღესაც ილაშქრებს მსგავსი ქმედებებისა და მათი ჩამდენების მიმართ, მაგრამ.... არ ილევა ქვეყნად ბოროტება და არც მსგავსი ფაქტებისგან ვართ ჯერჯერობით დაზღვეულნი. სულ რაღაც სამიოდე კვირა არცაა, ეს მერამდენედ, სოფელ მანავში კვლავ გაიძარცვა მიცვალებულთა საფლავები. ხალხის ხარჯზე იოლი შემოსავლის მოყვარულმა არაკაცებმა (სხვანაირად ვერ მოვიხსენიებთ ამის ჩამდენთ), ალუმინის ნაკეთობები რომ აღარ დატოვეს საფლავებზე მოუპარავი, ახლა რკინის ნაკეთობების ძარცვა-მოპარვას მიჰყვეს ხელი ჯართში ჩასაბარებლად – არადა ჯართის ჩასაბარებელი ფასი მართლაც „სოლიდურია" – ერთი ტონის ფასი 750-770 ლარია! ხოდა, სინდის-ნამუსზე ხელაღებულ, ღვთის პირისაგან გადავარდნილ არამზადებს მეტი რა უნდათ – დაერივნენ ვინ იცის, რა გაჭირვებით ხალხის მიერ მიცვალებულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად მოწყობილ საფლავებს და სადაც კი შეძლეს, ჩამოგლიჯეს და გაძარცვეს რკინის მოაჯირები, ჯაჭვები და სხვა ნაკეთობები, რომელთა მოსაწყობად ზოგმა ლუკმა-პური მოიკლო და უკანასკნელი თეთრები გაიღო, რომ საბოლოოდ არ დაკარგულიყო, არ წაშლილიყო მათთვის ძვირფასი ადამიანების საბოლოო განსასვენებელი.

ბოროტმოქმედებმა მთლიანად გაძარცვეს, ჩამოგლიჯეს მამა-შვილის ბალია და ვლადიმერ დაბახიშვილების, მათი მეუღლეების და მათ მიმდებარედ არსებული საფლავები. სად მოაჯირები მოგლიჯეს, სად მათი კარებები. ერთი სიტყვით, გაუძარცვავი და წაუღებელი არ დატოვეს საფლავის არც ერთი ადვილად მოსახსნელი ნაკეთობა.სამწუხაროდ, სოფლის სასაფლაო ისეთ ადგილზეა, რომ ძნელია მისი გაკონტროლება და ხალხმა დროზეც ვერ შეიტყო მისი გაძარცვა და დამნაშავის შემთხვევის ადგილზე მხილება.

– სასაფლაოს გაძარცვის ამბავი გვიან გავიგე და მაშინვე მშობლების საფლავის სანახავად გავეშურე, – გვიყვება ერთ-ერთი დაზარალებული საფლავის პატრონი. მძარცველებს საფლავის შემოღობვის – „რეშოტკის" კარების წაღება მოუნდომებიათ, მაგრამ ვერ ჩამოუხსნიათ და ადგილზე დაბრეცილ-დაგლეჯილი დაუტოვებიათ. მართალია, ვერ წაიღეს, მაგრამ კარები ხელახლა გასაკეთებელი და გასასწორებელია. ვნახე, რომ ბალია და ვლადიმერ დაბახიშვილების საფლავიდან ჯაჭვები იყო წაღებული, მურაზ დაბახიშვილის მშობლების საფლავიდან – რკინის კარები, თუ სადმე ადვილად მოსახსნელი რკინა უნახავთ, წაუღიათ. სხვა საფლავებზე აღარ გავსულვარ, მაგრამ გავიგე, არც ისინი დაუტოვებიათ გაუძარცვავი არაადამიანებს, რომელთა ნამოქმედარს არანაირი გამართლება არა აქვს და მკაცრადაც უნდა დაისაჯონ. ნათქვამია, ადამიანის სიცოცხლე ამქვეყნად ყველაზე ძვიფასია, მაგრამ არ ვიცი, რას მოვიმოქმედებ, თუ ამგვარ ფაქტს ჩემი მშობლების ან სხვების საფლავზე წავაწყდები.

– მაგისთანების კანონით დასჯას კი არ უნდა დაელოდონ, არამედ, თუ ადგილზე წაასწრებენ, იქვე ცხვირ-პირი და ყურები უნდა ჩამოათალონ და ისე გაუშვან სხვების სამაგალითოდ ქვეყანაზე, რომ სხვა მათი შეგნების მქონეთაც არ გაუჩნდეთ მსგავსი სურვილი. – აღშფოთებას ვერ მალავენ სხვები.

– პოლიციელი ვარ და რა თქმა უნდა მართლმსაჯულების დაცვაც მევალება. ამ რამოდენიმე ხნის წინ უდროოდ ორი ახალგაზრდა ნათესავი გამოგვაკლდა და დიდი სიმწარითა და გლოვით იმ ქვეყნად გავაცილეთ. არ ვიცი, რამდენად ადეკვატური ვიქნები მსგავსი ფაქტების მიმართ, ადგილზე რომ ვინმეს წავასწრო, – მომხდარზე ემოციებს ვერ მალავს გვერდით მდგომი პოლიციელი.

**ალექსანდრე სტეფანიშვილი,** ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ მანავში:*** მართლაც შეუწყნარებელი და სამწუხარო ფაქტის წინაშე დაგვაყენეს ბოროტმოქმედებმა მანაველები და ორი კი არა, მთელი სასაფლაო გაიძარცვა. არ დარჩენილა თითქმის ისეთი საფლავი, ადვილად მოსახსნელი რკინის ნაკეთობა რომ არ წაეღოთ. სასაფლაოზე არსებული ეკლესიიდან რომ ქართველი კაცი რკინის კარებს ჩამოხსნის და ფულის გულისთვის წაიღებს ჯართში ჩასაბარებლად, რა შეიძლება ასეთ ადამიანს ეწოდოს? – არ ვიცი! მთელი სოფელი აღშფოთებულია და დამნაშავეთა გამოვლენასა და სასტიკად დასჯას მოითხოვს. მანაველთა ასეულობით განცხადებაა შემოსული საფლავების გაძარცვაზე და გადაგზავნილია პოლიციის საგარეჯოს განყოფილებაში რეაგირებისათვის. დაწყებულია სათანადო გამოძიება და დაწესებულია სადღეღამისო მეთვალყურეობა როგორც პოლიციის მუშაკების, ისე სოფლის აქტივისტების მიერ. ადრე თუ გვიან, ყველაფერი გაირკვევა და გამოაშკარავდება და არ ვიცი, რით იმართლებენ თავს ამ ამბის ჩამდენები ხალხისა და ღვთის წინაშე?!

**ლევან ჭიკაძე** – ***პოლიციელი***: – მართალია, სამუშაოდ სხვა უბანზე გადაველი, მაგრამ ამ საქმის გამოძიებაში მეც ვარ ჩართული. პოლიციელებს სადღეღამისო მორიგეობა გვაქვს დაწესებული და ვაკონტროლებთ სასაფლაოს. წუხელაც მთელ ღამეს სამორიგეოდ ვიყავი და თვალი არ მომიხუჭავს, რომ როგორმე მოვახერხოთ დამნაშავეთა მხილება, რაც განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი. სასაფლაოს კონტროლს მანაველებიც ახორციელებენ, რადგან ეს ყველას საერთო საქმეა. მე მინდა მოვუწოდო მოსახლეობას, რომ მეტი კონტაქტი იქონიონ ჩვენთან, რადგან მათ მიერ მოწოდებულ მცირეოდენ, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ინფორმაციასაც კი შეუძლია გამოძიება სწორ გზაზე დააყენოს და ბოროტმოქმედთა დასჯას შეუწყოს ხელი.



# სპორტი

## ქვეყნის საჭიდაო არენებზე გარეჯელ ფალავანთა „ნადავლი"




**კორონა** ვირუსის პანდემიის პირობებში ასპარეზობათა გახსნის კვალდაკვალ სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში აქტიურად ჩაებნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სტილის მოჭიდავეები. 26-27-28 თებერვალს გამართულ რესპუბლიკურ ჩემპიონატში ჭიდაობა სამბოში ახალგაზრდებს შორის ჩემპიონი გახდა ააიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების" აღსაზრდელი **დავით მეშველიანი**. ეს ტიტული მან 79 კგ წონით კატეგორიაში მოიპოვა.




ჭიდაობის ამავე სახეობაში ჭაბუკებში მძიმე წონაში მეორე საპრიოზო ადგილი საგარეჯოელთაგან დაიკავა **ლაშა მამულაშვილმა.**

* * *

**4-5 მარტს** ჭიდაობა სამბოში ჩატარდა საქართველოს პირველობა , რომელშიც მონაწილეობდა ცნობილი ***მანაველი სამბისტი,საქართველოს საერთაშორისო,ევროპისა და მსოფლიო ასპარეზობათა ჩემპიონი და პრიზიორი ირაკლი კუპატაძე.*** ეს ასპარეზობა ჩვენმა თანამემამულემ 58 კგ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედლით აღნიშნა.



---

## მასპინძლობდა საგარეჯო




**20 მარტს** საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტკომპლექსის საჭიდაო დარბაზი დიდი ხნის დუმილის შემდეგ ქართული ჭიდაობის ჰანგებმა გამოაცოცხლა. საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ ჩატარდა საქართველოს პირველობა 2007-2008-2009 წლებში დაბადებულ მოჭიდავეებში, რომელშიც ააიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების" აღნიშნულ წლებში დაბადებული ფალავნებიც მონაწილეობდნენ. მათგან 35 კგ წონით კატეგორიაში II საპრიზო ადგილი დაიკავა და ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა **ოთო ოდიკაძე, ნიკოლოზ კურდღელაშვილი** III ადგილისა და შესაბამისი მედლის მფლობელი გახდა მომდევნო – 40 კგ წონით კატეგორიაში.




*გივი დაბახიშვილი*

# მართლმადიდებლობა

## ვინმე ათონელ ბერს, ერთხელ განეცხადა, როგორ ხდებოდა ეკლესიაში მიცვალებულთა მოხსენიება:

„**მიცვალებულთა** შაბათი იყო, წირვა დამთავრდა, ზოგიერთები ეკლესიიდან გამოდიოდნენ.ზოგი კი დარჩა და ჯვარცმასთან მდგარ მოსახსენებელ მაგიდასთან მიუახლოვდნენ, სადაც მიცვალებულთა სახელზე შეწირული ძღვენი იყო დალაგებული. მე ამ დროს კლიროსზე ვიდექი, მღვდელი და დიაკონი საკურთხევლიდან გამოვიდნენ.

მღვდელმა წარმოთქვა: „კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი,აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ!" ამ დროს დავინახე , რომ ქუჩიდან ეკლესიაში უამრავმა ხალხმა დაიწყო შემოსვლა; კარი მალე გაიჭედა და უკვე კედლებიდან და ფანჯრებიდან შემოდიოდნენ. ტაძარი უამრავი გამჭვირვალე აჩრდილით გაივსო. ხალხის ამ მასაში დავინახე ქალები, კაცები და ბავშვები.გარეგნულად შევიცანი მღვდლები,იმპერატორები,ეპისკო პოსები და მათ შორის უბრალო მუშა, მიხრწნილი ჯარისკაცი, ღარიბი ქალი და უამრავი გლახაკაცი. საბოლოოდ ,ისინი იმდენად ბევრი შეგროვდნენ, რომ რეალური მლოცველები ,ამ ჩრდილების ფონზე დახატულად მეჩვენებოდნენ .ისინი უსიტყვოდ მიდიოდნენ და წმინდა საკურთხეველთან დგებოდნენ, თითქოს განაჩენის გამოტანას ელიანო.

აი, დიაკონმა ლანგარიდან აიღო მრევლის მოსახსენებლები და მასში ჩაწერილი სახელების წაკითხვა დაიწყო. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა,როდესაც შევამჩნიე, რომ ამ კრებულს ხან ერთი და ხან მეორე ჩრდილი გახარებული სწრაფი ნაბიჯით გამოეყოფოდა, ისინი მიდიოდნენ მათთან ,ვინც მოიხსენია და ცოცხალ მლოცველებს უერთდებოდნენ, ბოლოს როცა უკვე ყველა მოსახსენებელი წაიკითხეს, დარჩა ბევრი მოუხსენიებელი. -- დამწუხრებული და თავჩაქინდრული. მათ შორის ზოგიერთი სული მღელვარედ უმზერდა შემოსასვლელ კარს, თითქოსდა ,ჯერ კიდევ ელოდა,რომ ვინმე მისი ცოცხალი ახლობელი შემოვიდოდა და მისთვის ლოცვას შესწირავდა. მაგრამ არა,აღარავინ შემოდიოდა და ისღა დარჩენოდათ,ეხარათ იმათი სიხარულით, ვინც პანაშვიდზე მათმა მორწმუნე ნათესავებმა მოიხსენიეს.

დავაკვირდი მლოცველთა საერთო ჯგუფს,რომელიც ერთგვარად შეერთდა ნათელ სხივებში მოკიაფე იმქვეყნიურ ჩრდილებთან და კიდევ საოცარი სურათი დავინახე. როდესაც გამოითქმებოდა სიტყვები: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო, მასწავლენ მე სიმართლენი შენნი"ან: „განუსვენე შენ უფალო,სულნი მიცვალებულთა მონათა და მხევალთა შენთა" ჩანდა ,რომ ნათდებოდა ერთნაირი ნათლით ცოცხალი და მათ მიერ მოხსენიებულ მიცვალებულთა სულები. როდესაც გაისმა ლოცვითი მოწოდება: „მართალთა თანა განუსვენე" ..დავინახე, რომ მთელი ეკლესია მუხლებზე დადგა.ამ დროს მოხსენიებული სულები თავისთვისაც ლოცულობდნენ და თავიანთი მომხსენებლებისთვისაც. ხოლო ნათესავებისგან დავიწყებული სულები მხოლოდ თავისთვის. როდესაც სანთლები დაიღვენთა და მღვდელმა უკანასკნელი ლოცვა წაიკითხა, აჩრდილები სადღაც გაქრნენ. დარჩნენ მხოლოდ ის ადამიანები, რომლებმაც დამატებით კიდევ კერძო პანაშვიდის გადახდა მოინდომეს თავიანთი მიცვალებულებისთვის. მაშინ მე მათ სახეზე დავინახე ისეთი სიმშვიდე ,ისეთი კმაყოფილება, რომლის გადმოცემაც შეუძლებელია.

p.s. ძალიან დიდი ,წმინდა და ღრმა ნუგეშის მომტანია გარდაცვლილთათვის მოხსენიების ისეთი წეს-განგება მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ, როგორიცაა პანაშვიდი, ორმოცი, ფსალმუნი მიცვალებულთათვის. და რაოდენ მწუხარეა ის სულები, რომელთათვისაც არ ლოცულობენ მათი ცოცხალი ნათესავები.ამით ისინი მათ აკლებენ არა მხოლოდ იმ სიხარულს, რომ ისინი ვიღაცას ახსოვს,არამედ ღმერთისგან ცოდვების მიტევების შესაძლებლობასაც. ყოველთვის, როდესაც მღვდელი მათ მსახურებაზე მოიხსენიებს, ეს სულები წყალობას, ნუგეშს და ცათა სასუფეველს უახლოვდებიან..

# მათთვის საქართველო მშობლიურ მიწა-წყლად იქცა

**დასასრული**

ამგვარი ეთნონიმის ხალხის არსებობა არსად არ დასტურდება. თავიდან მათ თათრებს ეძახდნენ, 1939 წლის საყოველთაო აღწერის შემდეგ კი ისინი აზერბაიჯანელებს მიათვალეს.

„დღეს სოფელში უკვე ძირითადად პენსიონერები ცხოვრობენ. ის ლაიჯები, რომლებსაც ჩვენი წინაპრების ტრადიციები და ადათები ახსოვდათ, უკვე ცოცხლები არ არიან",– ჰყვება სოფლის 83 წლის მკვიდრი სანამ ბაჰრამოვა.

**სანამ ბაჰრამოვა:**

"მე გომბორში დავიბადე. აქ თავიდან ჩემი ბაბუა ჩამოვიდა და ტყეში ნახშირის გამოწვით იყო დაკავებული. საქმე კარგად არ წაუვიდა და ყელამდე ვალებში ჩაეფლო. ლაჰიჯიდან თავისი ვაჟი გამოიძახა, ჩემი მომავალი მამა და, ვალის სანაცვლოდ, იმ კაცთან დააწყებინა უფასოდ მუშაობა, ვისი ფულიც ემართა. თავად კი გაურკვეველი მიმართულებით გაემგზავრა და არასდროს აღარ დაბრუნებულა. მის შესახებ აღარაფერი აღარ გაუგიათ.

მამაჩემს ბაჰრამი ერქვა. მან ხანგრძლივი ცხოვრება განვლო, თითქმის 102 წლის გარდაიცვალა. 1941-ში ომობდა და ფრონტიდან ისე დაბრუნდა, ერთი ჭრილობაც არ ჰქონია.

მაგრამ მისი დაბრუნების შემდეგ მალევე დედაჩემი დაავადმყოფდა და გარდაიცვალა. დავრჩით ოთხი ბავშვი. მამამ მეორე ცოლი მოიყვანა. შვილები კიდევ გაუჩნდათ, და სულ 9 და-ძმა ვიყავით.

სულ ორი კლასი მაქვს დამთავრებული, შემდეგ მამამ სკოლიდან გამომიყვანა – უმცროსი- და-ძმისთვის უნდა მომევლო. აი, ასე დავრჩი განათლების გარეშე".

სანამ ბაჰრამოვამ საავადმყოფოში სანიტრად 41 წელიწადს იმუშავა. ახლა მარტო ცხოვრობს და თავი გაჭირვებით გააქვს. თავის მცირე პენსიას ხშირად ერთადერთ ქალიშვილს აძლევს.

სანამის ქალიშვილი თბილისის გარეუბანში ცხოვრობს, ლილოს დასახლებაში. ის ადრე დაქვრივდა, და ორი პატარა ბავშვით დარჩა, ერთ-ერთი მათგანი შრომისუნარიანი არ არის, გადაადგილება არ შეუძლია. და სანამი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ დაეხმაროს მათ.

გასული საუკუნის 1960 წელს გომბორში საქართველოს მაღალმთიანი ჩრდილო-აღმოსავლეთი რეგიონიდან, ფშავ-ხევსურეთიდან ეკოლოგიური მიგრანტები ჩაასახლეს. და 1964 წელს გომბორის მოსახლეობის უმეტესობას უკვე ქართველები შეადგენდნენ.

ლაიჯები ამბობენ, რომ მეზობელი ქართველებისგან ბევრი კულტურული და ყოფითი ელემენტი გადაიღეს.

„ზოგჯერ ქრისტიანულ ეკლესიაში დავდივართ. ქართველებთან ერთად აღვნიშნავთ რელიგიურ დღესასწაულებს, ქართველები კი ჩვენთან ერთად ზეიმობენ მუსლიმების მთავარ დღესასწაულს ყურბან-ბაირამს", – ამბობს შაბაჯი ფაშაევა, სამი შვილის დედა და ექვსი შვილიშვილის ბებია".

დამედევნა კიდეც იმის სათქმელად, რომ ქართველების მაგალითით, ლაიჯებმა ნათესავებს შორის ქორწინებაზე უარი თქვეს, თუმცა ისლამის თანახმად, ეს დაშვებულია.

**შაბაჯი ფაშაევა**

„როდესაც აზერბაიჯანში ვცხოვრობდით – იმ ქვეყნის ტრადიციებს მივსდევდით – ალკოჰოლურ სასმელებს ვერიდებოდით, და არც ღორის ხორცს ვჭამდით. საქართველოში კი მაგვარი აკრძალვები არ გვაქვს და კულინარიაში უფრო თავისუფლები ვართ.

ოჯახი ყველაზე ხშირად სხვადასხვაგვარად მომზადებული ხორცითა და ბრინჯით სადილობს. ჭამენ ცხვრის, ძროხის და ღორის ხორცს. დიახ, დიახ ღორის ხორცს – არ შემშლია. მას თითქმის ყველა ლაიჯი მიირთმევს. კიდევ ჩვენში პოპულარულია შაქრიანი კვერები და მჟავე რძის მწვანილებიანი სუპი".

„გომბორში ორი სკოლა იყო: ქართული და რუსული. ლაიჯები თავად წყვეტდნენ, რომელ მათგანში შეეყვანათ შვილები. მე რუსული სკოლა მაქვს დამთავრებული, ჩემი შვილიშვილები კი ქართულ სკოლაში დადიან",– ჰყვება შაბაჯი ფაშაევა.

***საერთოდ, ლაიჯები თავისუფლად საუბრობენ ოთხ ენაზე.***

„ქართველებს ქართულად ველაპარაკებით. რუსულიც კარგად ვიცით, თუმცა ამ ენაზე ლაპარაკი ხშირად არ გვიწევს. მხოლოდ ჩემს მეზობელს ველაპარაკები – ის სოფელში ერთადერთი რუსია", – ამბობს შაბაჯი ფაშაევა.

***„აზერბაიჯანულად ველაპარაკებით თათებს, რომლებიც ჩვენს სოფელში ცხოვრობენ – ისინი არიან ძველი ირანელების შთამომავლები, რომლებიც იმ დროს ჩამოსახლდნენ სოფელ გომბორში, როდესაც ლაიჯები; ოღონდაც ისინი ლაჰიჯიდან კი არა, „ირანული აზერბაიჯანიდან" ჩამოვიდნენ. მაგრამ ისინი თათურ ენას უკვე აღარ ფლობენ."***

და ბოლოს, სახლებში და ერთმანეთში ლაიჯები უფრო ხშირად თავიანთ ენაზე საუბრობენ.

"ლაიჯების ენაზე წერის საშუალება არ არის, საკუთარი დამწერლობა არასდროს გვქონია, – ჰყვება შაბაჯი ფაშაევა, – საშუალო და უფროსმა თაობამ ლაიჯური კარგად ვიცით. ბავშვებსაც ვასწავლით, თუმცა ახალგაზრდობას უკვე რცხვენია ამ ენაზე ლაპარაკის არათუ შინ, არამედ თანასოფლელ ლაიჯებთანაც კი. არადა, ძალიან მინდა, რომ ჩვენი წინაპრების ენა არ დავკარგოთ".

მეორე კლასის მოსწავლე ელვინ ფაშაევი კარგად ლაპარაკობს ქართულად და აზერბაიჯანულად, ლაიჯურად კი – ვერა, თუმცა ყველაფერი ესმის

***ლაიჯები აღმსარებლობით შიიტი მუსლიმანები არიან.***

საქართველოს დამოუკიდებლობისა და რელიგიური თავისუფლების მოპოვების შემდეგ, მათ სოფლის ერთ სახლში საერთო ძალებით მოაწყვეს სალოცავი, რომელსაც მეჩეთს ეძახიან. გომბორის მუსლიმი მოსახლეობა იქ ლოცულობს, რიტუალებს აწყობს, და რელიგიურ დღესასწაულებს აღნიშნავს.

2014 წლის აღწერის მიხედვით, სოფელ გომბორში 304 პირობითი „აზერბაიჯანელი" ცხოვრობს. მათი ერთი ნახევარი ლაიჯია, მეორე კი თათი. 1989 წელთან შედარებით, სოფლის მუსლიმი მოსახლეობის რაოდენობა ორჯერ მეტად შემცირდა.

ლაიჯები საცხოვრებლად საზღვარგარეთ მიემგზავრებიან, საქართველოს სხვადასხვა მხარეშიც, ამიტომ მათი რაოდენობის ზუსტად დადგენა შეუძლებელია.

ისინი სოფელს ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორის გამო ტოვებენ. ის ადგილი, სადაც ისინი 100 წელწადზე მეტი ხნის წინათ გადარჩენისა და სარჩოს მოპოვების მიზნით დასახლდნენ, ახლა მათთვის გამოუსადეგარი გახდა. ტყეში ხეების ჭრა აკრძალულია, ნახშირის გამოწვას აღარ ეწევიან, იმ სამხედრო ნაწილის, სადაც ისინი დასქმებულები იყვნენ, ხსენებაც აღარ არის. ერთადერთი ისღა დარჩენიათ, რომ ტყეში იარონ და გასაყიდად ველური ხილი, კენკრა და სოკო დაკრიფონ.

ამ საქმით ახალგაზრდა, დაოჯახებული მამაკაცები არიან დაკავებულები.

მათი ცოლები კი ტყის ნაყოფს მთავარ გზაზე ყიდიან.

*გოჩა ხუნდაძე*

# აზერბაიჯანელის თვალით დანახული ქართველი და აზერბაიჯანელი ქალები

***ჩვენი** დღევანდელი ნომრის სტუმრები გოგონები ჰაჯან მუსაევა და ჯახან შირინოვა იორმუღანლოს საჯარო სკოლის მეათეკლასელები არიან. რამდენიმე წელია ქართულ ენას ეცნობიან, ეუფლებიან, იმ ენას, რომელიც სახელმწიფო ენაა, რომელმაც უნდა დააახლოვოს ისინი, ქართულენოვან მოსახლეობასთან. ენის გაცნობა-შესწავლასთან ერთად, ისინი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ თამარ ურდულაშვილის დახმარებით ქართველების ტრადიციებს, ჩვევებს, ყოველდღიურ ცხოვრებასაც ეცნობიან. მონდომებულები და დაინტერესებულები რომ არიან, მათი ნაწერებიდანაც ჩანს. როცა მათმა მასწავლებელმა სამი მოსწავლის ნამუშევარი მომიტანა, ერთხანს დავეჭვდი, სამივე თითქოს ერთი ხელით იყო ნაწერი, ეჭვმაც კი „გამკრა", იქნებ თამარ მასწავლებელმა გადაწერა და ისე მოიტანა რედაქციაში-თქო, ისე ჰგავდა თამარის კალიგრაფიას.. შემდეგ კი პატარ-პატარა განსხვავებებიც ვიპოვე და მივხვდი, მასწავლებელი მათთვის ქართველის, ქართულის ეტალონია და აქედანაც დაიწყეს ქართველის და ქართულის შეფასებები. ამჯერად მათი „საშინაო დავალება", ვფიქრობ ათქულიანია. თემა „აზერბაიჯანლი და ქართველი ქალების განსხვავება" კი მათ საკმაოდ ღრმად და შინაარსიანად გაშალეს. აი მათი ნააზრევიც:*

## აზერბაიჯანლი და ქართველი ქალების განსხვავება

### (სტილი დაცულია)

**ქალი** არის დედა, დედა კი ყველაფერია. დედა ნიშნავს სიყვარულს, წყალობას. ქალები მნიშვნელოვანია ყველა ერისათვის. ყველა ერში ქალის მნიშვნელოვანი და ადგილი სხვა არის. თქვენ იცით, რომ აზერბაიჯანელების ერი თურქია. თურქები და ქართველები სხვადასხვა ერებია. აზერბაიჯანელ და ქართველ ქალებში ბევრი განსხვავებები არსებობს. ყველაზე დიდი განსხვავება ქართველ და აზერბაიჯანელ ქალებს შორის არის მათი რელიგია. აზერბაიჯანელი ქალების რელიგია არის ისლამი. ქართველი ქალების რელიგია ქრისტიანობაა. ცხოვრების წესი, ტანსაცმელი და ა.შ. მათი რელიგიის შესაბამისად განსხვავდება. მუსლიმი აზერბაიჯანელი ქალები თავებს იფარავენ, იმიტომ რომ ის ისლამის სიმბოლოა, მათ გრძელი, კალთებიანი კაბები აცვიათ. ეს მუსლიმი ქალების სხვა ქალებისაგან განსხვავებაა. მაგრამ ქრისტიანი ქალები ასეთი არ არის, ისინი თავებს არ იფარავენ.

რელიგია გავლენას ახდენს ცხოვრების წესზე. ამიტომ ქართველი და აზერბაიჯანელი ქალები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რასაც ისინი ჭამენ, ასევე განსხვავებულია. აზერბაიჯანელი ქალები ღორის ხორცს არ ჭამენ, ქართველი ქალები კი ჭამენ. აზერბაიჯანელი ქალები ლოცულობენ, მარხულობენ, ზაქათს იხდიან, პილიგრიმზე მიდიან. აზერბაიჯანელ და ქართველ ქალებს შორის ბევრი განსხვავებაა. შესაბამისად, მათი ცხოვრების სტილი, ტანსაცმელი, საკვები, ქცევა და თაყვანისცემა განსხვავებულია. რელიგია დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე. მოკლედ, მათი ყველაზე დიდი განსხვავება რელიგიაშია. მუსლიმი აზერბაიჯანელი ქალები თავიანთი თავსაბურით განსხვავდებიან სხვა ქალებისაგან.

აზერბაიჯანელ და ქართველ ქალებს შორის ყველაზე დიდი განსხვავება ის არის, რომ ისინი მუსლიმები და ქრისტიანები არიან. თავსაბურავი ყველა მუსლიმი ქალის სიმბოლო არის.

*ჰაჯან მუსაევა*

**მე** აზერბაიჯანელიი ქალი ვარ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე ვსაუბრობ აზერბაიჯანელ ქალზე. ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ და აქ ცხოვრობენ როგორც ქართველები, ისე აზერბაიჯანელები. ბევრ ქართველ ქალებს ვხვდებით. განსხვავებულია ქართველი და აზერბაიჯანელი ქალი. პირველი ესაა რელიგიური განსხვავება – აზერბაიჯანელები მაჰმადიანები არიან, ქართველები ქრისტიანები. ისინი განსხვავდებიან ჩაცმულობითა და ხასიათით. მაგალითად, აზერბაიჯანელი ქალები ატარებენ შალს. მეჩვენება, რომ აზერბაიჯანელი ქალები ტანსაცმელში არც ისე თავისუფალი არიან, მაგრამ არა აზერბაიჯანში. იქ ქალები თავისუფლად იცვამენ, აქ, პირიქით არიან.

აქაური ქალები ყოველთვის ერთნაირი აზროვნებით არიან ჩაცმულები, მათ აინტერესებთ, სხვები რას ამბობენ.

ქართველი ქალები ასეთები არ არიან. მათ სურთ: თუ უნდათ კარგად ჩაიცვამენ, თუ უნდათ, ცუდად ჩაიცვამენ, თუ მოინდომებენ, საერთოდ არ ჩაიცვამენ.

ჩვენ ვთქვით, რომ ისინი განსხვავდებიან ხასიათით: მაგალითად აზერბაიჯანელი ქალები არ არიან თავისუფალი. როცა აზერბაიჯანელ ქალს უყვარდება ვინმე, ისე არ ხდება, როგორც მას სურს, არამედ როგორც მის ოჯახს სურს. აზერბაიჯანელი ქალები ცოტა მორცხვები არიან . ეს არ ნიშნავს, რომ აზერბაიჯანელი ქალები არ არიან თავისუფალი. მათ ასე უნდათ, მაგრამ თუ მოინდომებენ, უკეთესადაც იცხოვრებენ.

ჩემი აზრით, ქართველი ქალი ყოველთვის თავისუფალია. მაგალითად, როდესაც ქალაქში ვარ, ქართველი ქალები ღამით გადიან, ხალისობენ და ატარებენ დროს, როგორც მათ სურთ. აზერბაიჯანელი ქალები კი ასეთ საქმეს არასოდეს აკეთებენ.

ვფიქრობ, ქართველებისათვის ნორმალური იყო ასეთი რამის გაკეთება, ანუ იქცევიან ისე, როგორც სურთ.

ვფიქრობ, ქართველი ქალები ჭკვიანები არიან. მაგრამ აზერბაიჯანელ ქალებს ზოგჯერ არ შეუძლიათ თავიანთი აზრის თქმა.

ქალი ყველაზე ლამაზი არსებაა მსოფლიოში!

*ჯახან შირინოვა*





**სურათზე:** *იორმუღანლოს საჯარო სკოლის პირველკლასელები ქართული ენის გაკვეთილზე (პედაგოგი დალი ბეჟიტაშვილი)*

# ბერიკაობა – საქართველოს მემატიანე





***ოცდამეერთე საუკუნეში თითქოს უფრო მძაფრად შეიგრძნობა ქართული ტრადიციების გახსენება-არდავიწყების აუცილებლობა. დღეს ცოტაღაა ქართული სოფლები, სადაც ძველი, ათაპაპიდან მომდინარე სანახაობები, ტრადიციები ინახებოდეს, იხსენებდნენ და ახალი თაობისთვის თვალსაჩინოს ხდიდნენ.***

***არავინ იცის, კონკრეტულად როდის დაედო სათავე დიდსა და პატარა ჩაილურში ამ დღესასწაულს საფუძველი. სანახაობა ორივე სოფელში ერთდროულად იწყებოდა და პატარა ჩაილურში ცეკვა-სიმღერით და ჭიდაობით მთავრდებოდა. და აი, გასულ და მიმდინარე წელს ბერიკაობა თავიდან-ბოლომდე დიდ ჩაილურშიც ჩატარდა, რომლის ინიციატორებიც და შემსრულებლებიც დიდჩაილურელი ახალგაზრდები იყვნენ. მათ კი ორგანიზატორობას მათივე ისტორიის მასწავლებელი ეკა ჯიკაძე-ვეშაპიძე უწევდათ. ეკამ ორივე ბერიკაობაში მთელი ოჯახიც ჩართო, გვერდში ედგნენ მეუღლე – გელა ვეშაპიძე, შვილები ქეთა და ნინა და დედამთილი – ნინა ვეშაპიძე. სასიხარულოა, რომ ამ დღესასწაულს ჟურნალისტი ბადრი ვადაჭკორიაც ესწრებოდა, რომელმაც სოციალურ ქსელში მეტად საინტერესო მასალა მიაწოდა არა მარტო ქართველ მოსახლეობას... ამ დღეებში ეკა რედაქციაში მოვიწვიეთ და ბერიკაობასა და ბერიკებზე ისეთი სიყვარულით გვესაუბრა, რომ მისი მონათხრობის გაზიარება თქვენთვისაც ვისურვეთ, გაზეთის ძვირფასო მკითხველებო.***

**ვინ** მოთვლის რამდენი საუკუნეა, ტრადიციულად დიდ და პატარა ჩაილურში, ადრე გაზაფხულზე, მაშინ როცა მზე თავის ბუდეს ტოვებს, დიდ მარხვის წინ, ყველიერის კვირას იმართება სახალხო დღესასწაული, ბერიკაობა, ბერიკაობის შესახებ პირველად, ლევან გოთუას „კრწანისის სევდის“ წაკითხვის დროს გავიგე, შემდგომ ქართულ მხატვრულ ფილმში „მაია წყნეთელი“. პროფესიიდან გამომდინარე, სტუდენტობიდან დღემდე, ვიკვლევ და ვსწავლობ მის შესახებ. მიუხედავად მრავალი სამეცნიერო ნაშრომის გაცნობისა, ამოუწურავია, დღესასწაულის მრავალფეროვნება, მასში ჰარმონიულად არის შერწყმული ძველი და ახალი სიუჟეტები, თუ თავდაპირველად ის იყო, საკულტო, სარიტუალო, დღეს ის სრულიად თავისუფალია ყოველგვარი კულტისაგან და ნამდვილ საგაზაფხულო, მხიარულ აურზაურს წარმოადგენს.

ჩვენი სოფლის ბერიკაობა, ხასიათის მიხედვით კარდაკარ მოსიარულე საქართველოს მემატიანეა.

***ვინ არის ბერიკა?***

ბერიკათა „დასი" ახალგაზრდა მამაკაცებისაგან შედგება, მათ ჰყავთ მეთაური (,უკვე ათეული წლებია,– ნოდარ როსტიაშვილი) მის ოჯახში იმოსებიან, ილოცებიან და იწყებენ სოფლის მხიარულ „დარბევას" საღამოს ნაალაფარით კვლავ მის ოჯახში იკრიბებიან. ნიღბებს და სამოსს ყველა საკუთრივ იკერავს, არის შემთხვევები ოჯახის წევრებიც ეხმარებიან. ბერიკას ნიღაბს ირგებს ის, ვისაც ჯანიც ერჩის და მსახიობობის ნიჭიც აქვს.

სამზადისს ვიწყებთ ადრე, მაგრამ აქტიურ ფაზაში ის ბოლო 2 კვირის განმავლობაში გადადის, თუმცა მთელი წლის განმავლობაში, ვზრუნავთ მისი პოპულარიზაციისათვის. ვცდილობთ სრულიად საქართველოს და სხვა ქვეყნებშიც შევუქმნათ წარმოდგენა ადამიანებს, ჩვენი „ბებერი“ ტრადიციის შესახებ, საბოლოოდ მივაღწიეთ მიზანს, წელს სტუმრად ბევრი უცხოელი გვყავდა. კერძოდ, აშშ ჟურნალისტი მელანიე ჰამილტონი (მეუღლესთან ერთად), ირლანდიიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, ლიტვადან, რუსეთიდან და ასე განსაჯეთ, აფროამერიკელიც კი. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, გორიდან, თელავიდან, გურჯაანიდან და დედაქალაქიდან. სტუმრების გარკვეული ნაწილი, სოც ქსელში გაზიარებული სარეკლამო მოწვევის საფუძველზე მობრძანდა. ჩვენდა სასიხარულოდ, იყო სამადლობელი ზარები (ჩემთან) უცნობი ადამიანებიდან, ისინი აღტაცებას ვერ მალავენ. რაც რაღა თქმა უნდა, ჩემთვის ძალიან სასიხარულოა.



***როგორ მივაღწიეთ ამას.***

სამი წლის წინ სტუმრად გვეწვია (ჩემმა ოჯახმა უმასპინძლა) ძალიან ნიჭიერი, პატრიოტი ახალგაზრდა ქართველი ქალი, რომელსაც განათლება აქვს მიღებული, აშშ-ში და ძალიან სასარგებლო საქმეებს აკეთებს ახალგაზრდებისათვის, აქვს არასამთავრობო ორგანიზაცია თავის ბრიტანელ და ამერიკელ მეგობრებთან ერთად –სოფიო ბაგაური. ყოველთვის მჯერა, რომ სიკეთე და სიყვარული ბუმერანგივითაა, ადრე თუ გვიან უკან აუცილებლად ბრუნდება. სოფიომ თავად გადაიღო ულამაზესი ფოტოები, რითიც გარკვეულწილად პოპულარიზაციას შეუწყო ხელი, შემდგომ წელსაც გვესტუმრნენ სოფოს უცხოელი მეგობრები, სტუმრებისათვის გამზადებული გვაქვს საინფორმაციო ბუკლეტები, სადაც 3 ენაზე წერია მოკლე ინფორმაცია დღესასწაულთან დაკავშირებით.





ვაცხობთ ბებიების რეცეპტით ქადებს (მე ვამზადებ) კეცებში და გვაქვს ღვინის, საოჯახო მარნების ფესტივალი. სადაც სტუმრებს შეუძლიათ ღვინის დაგემოვნება. აგრეთვე ყველი და შოთი პური .ყველაფერი სტუმრებისათვის და მონაწილეთათვისაც არის უფასო. ვადუღებთ თათარას და სტუმრებს ვასწავლით ჩურჩხელის ამოვლებას.

***როგორ დავიწყეთ აღდგენა.***

როგორც უკვე ზევით ვახსენე, ეს ტრადიცია, დიდ და პატარა ჩაილურშია შემორჩენილი.

მიუხედავად იმისა, რომ კაჩაია – დიდი ხის საქანელა, ყოველ წელს იდგმებოდა, ბერიკებიც კარდაკარ ყიჟინით ჩამოივლიდნენ, სოფლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, მეორე ნაწილის, ჭიდაობის და ცეკვა, სიმღერის საყურებლად მეორე სოფელში მიდიოდა ოჯახის სტუმრებთან ერთად.

მახსოვს, როგორ რჩებოდნენ ბერიკები, ჩემი ოცნება იყო მოსახლეობა აქ, ჩვენს სოფელში დარჩენილიყო და ერთი დიდი დღესასწაული გაგვემართა ყველას ერთად. მაგრამ ერთი ადამიანისათვის ძნელია. 2018 წელი აღმოჩნდა გარდამტეხი, იმედის ტელევიზიამ გადაიღო და გაგვაშუქა გადაცემაში „იმედის კვირა“ (ნიკა ლოლაძის დამსახურებით ) ეს იქცა დიდ მოტივაციად. 2019 მონაწილეობა მივიღეთ იუნესკოსა და კულტურული მემკვიდრეობის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ჩემი სოფლის სახალხო დღესასწაული“. ჩემი ოცნებაა ბერიკაობა მოხვდეს იუნესკოს სიაში როგორც არამატერიალური კულტურის ძეგლი.

სოფლის სტადიონს ვასუფთავებთ მე და ბავშვები, პატარები, დაწყებითი კლასის ბავშვებიც კი მეხმარებიან.

მოსწავლეები (ყოფილი მოსწავლე არ არსებობს) ზოგი მათგანი უკვე სტუდენტი, მხოლოდ საორგანიზაციო საკითხებში კი არა, პიარში და შემდგომ გიდები არიან უცხოელი სტუმრების, ძირითადად ინგლისურ ენოვან სტუმრებთან. ასეთები არიან: მარიამ გურგენიძე (თსუ სტუდენტი) მარიამ საგინაშვილი (მე-10კლასის მოსწავლე) მიშო ჯაჭვაძე (სტუდენტი) ბერიკა და გიდი ერთბაშად, ნინი ბადუაშვილი, მე-11 კლასელი. (გერმანულს ფლობს)

ქალბატონები: ქეთი საგინაშვილი, ქეთი ოთიაშვილი, ლელა ქიზიყურაშვილი, ელა საგინაშვილი; ნადია კირაკოზაშვილი, ნინა ვეშაპიძე (დედამთილი ჩემი კეცებთან მეხმარებოდა).



განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ჩემთან ერთად ნიკა მემარნიშვილს, ლექსო მალასიძეს.

ბერიკათა დასი: მიშო ჯაჭვაძე, სანდრო ფოფხაძე, ბექა ბაჩოშვილი, დათუნა და გიორგი მალასიძეები, გელა ლოლაძე, ნიკა საგინაშვილი, სანდრო საგინაშვილი, ლაშა მჭედლიშვილი, მამუკა ბერებიშვილი, გუჯა ქიზიყურაშვილი, გიორგი მჭედლიშვილი. ლაშა ლოლაძე, გივიკო კირაკოზაშვილი, ლაშა კირაკოზაშვილი. გიორგი საგინაშვილი, რატი ჩიტიძე, თორნიკე ჯაჭვაძე, დათო საგინაშვილი, სანდრო ლოლაძე, გიორგი კირაკოზაშვილი.

ჩემი პატარები „დასუფთავების სამსახური: ანი ჩიტიძე, ლიზი და კახუჩი ლოლაძეები, ეთო ლოლაძე, ნიკოლოზ მარიდაშვილი; ანდრია ლოლაძე, ნიკა ლოლაძე, გიორგი ლოლაძე; ნიკოლოზ კირაკოზაშვილი.

ესთეტიკური და მხატვრული მხარის გასალამაზებლად ძირითადად გვეხმარებიან მეგობრები.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში“.
ტელეფონები: 599 851 143; 579 113 550
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com; gareji2011@mail.ru